შპს მარნეულის კოლეჯის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ.

ივლისი 2025,
მარნეული

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის საკითხი: შპს მარნეულის კოლეჯის სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა

კვლევის მიზნები:

- ❖ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლებლით კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა;
- ❖ პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა;

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მთავარი ამოცანები:

- ❖ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება;
- ❖ კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება;
- ❖ საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება;
- ❖ კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის შეფასება;
- ❖ პროფესიული მასწავლებლის შეფასება;
- ❖ სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის შეფასება;
- ❖ კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება;

კვლევის მეთოდოლოგია

სამიზნე ჯგუფი: კვლევის განხორციელების მომენტისთვის კოლეჯის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები

კვლევის მეთოდი: რაოდეობრივი.

კვლევის ინსტრუმენტები : რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი: კითხვარი.

საკვლევი თემის აქტუალობა.

- თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი სულ უფრო მეტად იზრდება. გლობალური და ადგილობრივი გამოწვევების ფონზე, ასეთი დაწესებულებები ვალდებულნი არიან იყვნენ კონკურენტუნარიანნი, სრულად აკმაყოფილებდნენ სახელმწიფო სტანდარტებს და, ამავდროულად, პასუხობდნენ როგორც დამსაქმებლების, ასევე სტუდენტების საჭიროებებსა და მოლოდინებს.
- შპს „მარნეულის კოლეჯი“ ამ პასუხისმგებლობას სრულად აცნობიერებს და მუდმივად ზრუნავს განვითარებაზე. კოლეჯის მიზანია, სტუდენტებისთვის შექმნას ისეთი საგანმანათლებლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ ზრდას, თვითრეალიზაციას და შრომის ბაზარზე წარმატებულ ინტეგრაციას. ამ მიზნით, კოლეჯი ყოველწლიურად ახორციელებს კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას.

შერჩევა

- კვლევის ჩასატარებლად ცდის პირების შერჩევა განხორციელდა კოლეჯის მონაცემთა ბაზიდან, იმ სტუდენტებს შორის, რომელთაც ჰქონდათ აქტიური სტატუსი 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში.
- კვლევის ვალიდურობის უზრუნველსაყოფად, თითოეული პროგრამიდან მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა მინიმუმ 60%-მა.
- კვლევაში მონაწილეობა მიიღო 186 სტუდენტმა.
- კვლევის ინსტრუმენტი განთავსებული იყო ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის Google Drive-ზე და მისი შევსება განხორციელდა ელექტრონულად. კვლევის პროცესს ხელმძღვანელობდა ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

კვლევი მონაცემები

- კვლევაში მონაწილე სტუდენტთა ასაკობრივი მაჩვენებელი იყო 15-დან 59 წლამდე.
- 15-დან 18 წლამდე სტუდენტთა რაოდენობა 21-ია. 8 ინფორმაციის ტექნოლოგიის სტუდენტია, 4 საფინანსო სერვისების, 5 საექთნო განათლების, 1 აღმზრდელი და 3 ფარმაციის პროგრამის სტუდენტი.
- 18-25 წლამდე სტუდენტთა რაოდენობა 57-ია. ფარმაცია (სააფთიაქო) 23 სტუდენტი, საფინანსო სერვისები 11 სტუდენტი, საექთნო განათლება 10 სტუდენტი, ინფორმაციის ტექნოლოგია 7 სტუდენტი, აღმზრდელი 6 სტუდენტი.
- 26-36 წლამდე სულ 67 სტუდენტია - ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამის 9 სტუდენტი, საფინანსო სერვისების 4 სტუდენტი, აღმზრდელი 24 სტუდენტი, საექთნო განათლება 10 სტუდენტი, ფარმაცია (სააფთიაქო) 20 სტუდენტი.
- 36 წლიდან ზემოთ სწავლობს 37 სტუდენტი: საექთნო განათლება 15 სტუდენტი, აღმზრდელი 11 სტუდენტი, ფარმაცია (სააფთიაქო) 5 სტუდენტი, საფინანსო სერვისები 4 სტუდენტი, ინფორმაციის ტექნოლოგია 2 სტუდენტი.

კვლევი მონაცემები

სტუდენტთა ასაკობრივი მაჩვენებელის შედარება შედარება წინა წელთან მიმართებით

ასაკი	2023–2024	2024–2025	ცვლილება
15–18 წწ.	10 სტუდენტი	21 სტუდენტი	+11
18–25 წწ.	75 სტუდენტი	57 სტუდენტი	-18
26–36 წწ.	62 სტუდენტი	67 სტუდენტი	+5
36+ წწ.	44 სტუდენტი	37 სტუდენტი	-7
ჯამი	191 სტუდენტი	186 სტუდენტი	–5

მნიშვნელოვნად გაიზარდა 15-18 წლის სტუდენტების რაოდენობა (110%-ით) — ეს მიუთითებს, რომ კოლეჯი უფრო ეფექტური გახდა სკოლებთან კომუნიკაციის ნაწილში და გაიზარდა პროფესიული განათლებისადმი ინტერესი ადრეულ ასაკში.

კვლევის მონაცემები

- **სქესის მიხედვით სტუდენტთა განაწილება:**

სქესის მიხედვით, სტუდენტთა განაწილება დამოკიდებულია კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამების შინაარსობრივ მხარეზე, კერძოდ, 11 მამრობითი სქესის წარმომადგენელმა მიიღო კვლევაში მონაწილეობა, რომელთაგან 6 ინფორმაციის ტექნოლოგიის სტუდენტია, ხოლო 5 საფინანსო სერვისების. მამრობითი სქესის სტუდენტები ძირითადად ამ ორ პროგრამაზე გვხვდებიან. მდედრობითი სქესის წარმომადგენელი გახლდათ 175 სტუდენტი, ყველა პროგრამიდან.

კვლევის მონაცემები - დასაქმების მაჩვენებელი

დასაქმების მაჩვენებელი პროგრამების მიხედვით

- 186 სტუდენტიდან დასაქმებულია 98 სტუდენტი, ხოლო 88 სტუდენტი არ არის დასაქმებული. დასაქმებული სტუდენტებიდან 63 არის დასაქმებული პროფილურად



კვლევის მონაცემები - დასაქმების მაჩვენებელი



ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

- სტუდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ, თუ რა გზით მიიღეს ინფორმაცია კოლეჯის შესახებ. პასუხები მრავალფეროვანი იყო, თუმცა გამოიკვეთა, რომ ყველაზე აქტუალური და ეფექტიანი ინფორმაციის წყარო არის სოციალური ქსელები. ეს ტენდენცია ხაზს უსვამს ციფრული კომუნიკაციის მზარდ როლს ახალგაზრდებთან და ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობაში. აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ კოლეჯის მიერ განხორციელებული საინფორმაციო კამპანიები სწორად არის მორგებული მიზნობრივ აუდიტორიაზე და ეფექტიანად პასუხობს რეგიონის მრავალფეროვან საჭიროებებს.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

- ინფორმაციის მიღების წყაროების რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება შემდეგია:
- სოციალური ქსელები – 77 სტუდენტი (41.4%)
- სამეზობლო თემის წარმომადგენლები – 39 სტუდენტი (20.97%)
- თანატოლები და/ან თანაკლასელები – 37 სტუდენტი (19.89%)
- სკოლის წარმომადგენლები – 17 სტუდენტი (9.14%)
- სარეკლამო ბროშურები – 13 სტუდენტი (6.99%) სხვ. - 3 სტუდენტი.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

- სტუდენტების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ 177 (95,2%) მათგანი იცნობს კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიღების გზად დასახელდა: კოლეჯის ვებ-გვერდი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, კოლეჯში არსებული საინფორმაციო დაფა და სხვ.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება



ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

- მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 177 სტუდენტი ინფორმირებულია სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობების შესახებ, კვლევის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა უმრავლესობას ხელშეკრულების გაფორმებისას მიაწოდეს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ (140-სტუდენტი 75.3%). 2025 წლის მონაცემები აჩვენებს, რომ კოლეჯმა გააძლიერა ინფორმაციის მიწოდების სისტემურობა და გააფართოვა კომუნიკაციის არხები.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება



ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

2024 და 2025 წლის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედარებითი ანალიზი.)

კომპონენტი	2024	2025	ცვლილება
სოციალური ქსელების გავლენა	მაღალი	შემცირებული	-29.2%
თემთან კომუნიკაცია	დაბალი	გაზრდილი	+13%
მისია/ხედვაღირებულებების ცოდნა	173 სტუდენტი	177 სტუდენტი	+2.3%
შინაგანაწესის ცოდნა	167 სტუდენტი	178 სტუდენტი	+6.6%
სტატუსის შეჩერების წესების ცოდნა	124 სტუდენტი	177 სტუდენტი	+42.7%

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

- სტუდენტების უმრავლესობა (90%-ზე მეტი) ამბობს, რომ იცის ვის უნდა მიმართოს სხვადასხვა საკითხებზე.



კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

- კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს ჩარიცხვის პროცესში განხორციელებულ საინფორმაციო აქტივობებს. კერძოდ, სტუდენტების მიერ დასახელებული იყო შემდეგი ძირითადი ღონისძიებები: საინფორმაციო შეხვედრები კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან კომუნიკაცია, სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა, ასევე სასწავლო პროცესის სტრუქტურისა და მოლოდინების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება.
- სტუდენტთა 81.1% ადასტურებს, რომ ჩარიცხვის შემდეგ ჰქონდათ საკომუნიკაციო ხასიათის შეხვედრა კოლეჯის წარმომადგენლებთან კერძოდ: ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო მენეჯერთან, ხარისხის სამსახურთან და სხვ.

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

- სტუდენტთა 80% ამბობს, რომ ჰქონდა შეხვედრა ჩარიცხვის შემდეგ პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერთან. დასაქმებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო გამოკითხულთა 60%-მა. თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ადასტურებს, რომ კოლეჯი გამუდმებით აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ (124 სტუდენტი ამბობს, რომ ვაკანსიების ნახვა შეუძლის ვებ-გვერდზე, 37 სტუდენტი- ვაკანსიები ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე, 18 სტუდენტი- ინფორმაციას ვიღებთ ელ.ფოსტაზე, 6 სტუდენტი კოლეჯში დასაქმების შეხვედრაზე.

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

ინფორმაცია ვაკანსიების გავრცელების შესახებ

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

- კულტურული, სპორტული, შემეცნებითი და სხვა არაფორმალური სახის ღონისძიებების განხორციელებას ადასტურებს 181 სტუდენტი. გამოკითხულთა 53% ყველა პროგრამიდან ადასტურებს, რომ მიუღიათ მონაწილეობა აღნიშნულ ღონისძიებებში.
- კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სტუდენტების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული კომუნიკაციის ფორმები საკუთარი ინიციატივების წარსადგენად არის პირადი გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან. აღნიშნული ფორმები სტუდენტებისთვის წარმოადგენს ხელმისაწვდომ და ეფექტურ გზას საკუთარი მოსაზრებების, საჭიროებებისა და პრობლემების გასაზიარებლად.

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება



კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

- გამოკითხული სტუდენტების 93%-მა იცის კოლეჯის მიერ სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ, რაც წინა წლის მონაცემთან შედარებით გაუმჯობესებული მონაცემია, 2024 წელს 70% აცხადებდა, რომ იცოდა აღნიშნულის შესახებ.
- სტუდენტებმა დააფიქსირეს შემდეგი სახის ინიციატივები: „მეტი შეჯიბრებები ჩატარდეს“, „დაიდგას კოლეჯში ყავის აპარატი.“, „ღია გაკვეთილების ჩატარება“, „სასურველია, რომ საფინანსო სერვისებთან ერთად იყოს საბუღალტრო პროგრამა.“, „მაქვს ინიციატივა, რომ დაემატოს კულინარიის პროგრამა, მაინტერესებს ეს სფერო“, „ვისურვებდი ბევრ არაფორმალურ შეხვედრებს, კურსელების უკეთესად გასაცნობად.“, „კოსმეტოლოგიის პროფესია დაემატოს,“ „წლის ბოლოს დიდი სიამოვნებით წავიდოდი ჯგუფთან და მასწავლებლებთან ერთად ექსკურსიაზე“, „ვისურვებდი იყოს გასვლითი ტურები სტუდენტებისთვის“.

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

- კვლევის ფარგლებში ასევე დგინდება, თუ რა მოლოდინები ჰქონდათ სტუდენტებს სწავლის დაწყებამდე და გაუმართლდათ თუ არა მათ ეს მოლოდინები.



გამოკითხულთა 99.5% ამბობს, რომ ახლიდან რომ უწევდეთ არჩევნის გაკეთება, კვლავ მარნეულის კოლეჯს აირჩევდნენ. ასევე, გამოკითხულთა სრული უმრავლესობა - 186 სტუდენტი სხვებსაც ურჩევდა აქ ჩაბარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება

- საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას ფლობს 185 სტუდენტი.
- გამოკითხულთა უმრავლესობა, კერძოდ, 70% აღნიშნავს, რომ კოლეჯი მათთან კომუნიკაციას ამყარებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, სატელეფონო კომუნიკაციას ადასტურებს 43%, ფეის ბუქ გვერდის მეშვეობით ინფორმაციის მიღებას ადასტურებს 36%, ხოლო ვებ. გვერდის მიხედვით 34.9%. ყველაზე ნაკლები პროცენტულობით მოინიშნა კოლეჯის ინსტაგრამ გვერდი (9.1%).
- კვლევაში მონაწილე 177 სტუდენტი ადასტურებს, რომ მასწავლებელი სწავლის დაწყების წინ აცნობს პროგრამას და მოდულს, რაც გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 95%-ზე მეტია. სტუდენტთა უმრავლესობამ (81%) 10 ქულით შეაფასა 10 ბალიანი შეფასების შკალაზე პროგრამის განხორციელების ხარისხი.

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება

- გამოკითხულთა 97% თვლის, რომ შერჩეული დავალებები სირთულისა და მოცულობის მიხედვით, შეესაბამება სტუდენტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. სტუდენტთა უმრავლესობა (დაახლოებით 90%-ზე მეტი) ეთანხმება, რომ პროგრამაში შემავალი სავალდებულო მოდულები მნიშვნელოვანია და დაკავშირებულია პროფესიულ მოთხოვნებთან.
- კვლევაში მონაწილე სტუდენტთა 99.5%-მა ადმინისტრაციის მხარდაჭერა 10 ქულიანი შეფასების შკალაზე შეაფასა მაქსიმალური 10 ქულით.
- კვლევაში მონაწილე 186 სტუდენტი კმაყოფილია კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემით.
- 181 სტუდენტი თვლის, რომ კოლეჯში მოქმედი შეფასების ფორმა და მეთოდები არის ობიექტური.

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება

- გამოიკვეთა, რომ სტუდენტების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობის შეფასებით, მასწავლებლები სრულად იცავენ კოლეჯის რეგულაციებით გაწერილი ინფორმირებულობის წესებს გამოცდებთან დაკავშირებით.
- სტუდენტთა უმრავლესობა (164 მათგანი) ეთანხმება მოსაზრებას, რომ სავალდებულო მოდულები პროფესიისთვის რელევანტურია, მოდულების თანმიმდევრობა სწორი და ლოგიკურია (162 სტუდენტი), სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფებში უმეტეს შემთხვევაში ოპტიმალურია (160 სტუდენტი), მასწავლებლები გამოირჩევიან მოთმინებით, პროფესიონალიზმით და ინდივიდუალური მიდგომით და სასწავლო პროცესი აქტიური, მრავალფეროვანი და ორგანიზებულია (170-175 სტუდენტი დაახლოებით).

პროფესიული მასწავლებლის შეფასება

- სტუდენტების დაახლოებით 90% სრულად ან ნაწილობრივ ეთანხმება მასწავლებლების საქმიანობის შეფასებისას წარმოდგენილ დებულებებს. ეს დებულებებია: მასწავლებელი ლექციას იწყებს ასახსნელი თემის დასახელებით, გვეკითხება თუ რა ვიცით მის შესახებ, მასწავლებლები ლექციას ხსნიან საინტერესოდ, მრავალფეროვნად, სხვადასხვა თვალსაჩინოებების გამოყენებით, მასწავლებლები მუდმივად გვაძლევენ უკუკავშირს და რჩევებს შესრულებულ სამუშაოზე, მასწავლებლები მიუკერძოებელნი არიან და ყველა სტუდენტს თანაბრად ექცევიან.

კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის შეფასება

- სტუდენტებმა შეაფასეს მასწავლებლების მიერ შეფასების პროცესის გამჭვირვალობა და წინასწარი ინფორმირების ხარისხი. კერძოდ, სტუდენტთა უმრავლესობა ადასტურებს, რომ მასწავლებლები: წინასწარ აცნობენ შეფასების მიმართულებასა და ხანგრძლივობას, განმარტავენ შეფასების სქემასა და განმეორებითი შეფასების პირობებს. აღნიშნული პრაქტიკები ხელს უწყობს სტუდენტების უკეთ მომზადებას და შეფასების პროცესისადმი ნდობის გაძლიერებას.

სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის შეფასება

- კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ გამოკითხულთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად აფასებს სასწავლო რესურსებთან, ტექნიკურ აღჭურვილობასთან, სასწავლო მასალებთან და დამატებით რესურსებთან ხელმისაწვდომობას.
- 183 სტუდენტი აცხადებს, რომ უზრუნველყოფილია სასწავლო მასალით, იგივე რაოდენობა კმაყოფილია სასწავლო აღჭურვილობით. 182 სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო რესურსი.
- 10 ბალიანი შკალაზე სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას 150 სტუდენტი აფასებს 10 ქულით, 15 სტუდენტი 9 ქულით, 14 სტუდენტი 8 ქულით, 5 სტუდენტი 7 ქულით.

სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის შეფასება

- შედარებითი შეფასება და მაჩვენებელი

მაჩვენებელი	2024	2025
რესურსებზე კმაყოფილების საერთო დონე	89% (9-10 ქულა)	90%+ (მხოლოდ 10 ქულა – 150 სტუდენტი)
უკმაყოფილების გამოხატვა	1 სტუდენტი	არ დაფიქსირებულა
დამატებითი რესურსების ხელმისაწვდომობა	ნაწილობრივ	სრულად ხელმისაწვდომია საჭიროებისამებრ

კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება

- კოლეჯში გათბობის საკითხს 81% აფასებს 10 ქულით. რაც შეეხება სანიტარული ნორმების დაცვას, 99.5% აფასებს 10 ქულით. 183 სტუდენტი იცნობს უსაფრთხოების ნორმებს და საჭიროების შემთხვევაში იციან მისით სარგებლობა. სტუდენტების 100% თვლის, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს და ზოგადად კოლეჯში უსაფრთხოების ნორმები არის დაცული. სტუდენტთა 75% იყენებს ბიბლიოთეკის რესურსს. მათგან 72% კმაყოფილია მომსახურებით.
- 154 მათგანი თვლის, რომ კოლეჯში არსებული კომპიუტერები გამართულად მუშაობს, 162 სტუდენტის თქმით, შენობაში ინტერნეტი ხელმისაწვდომია, 171 ეთანხმება დებულებას, რომ საჭიროებისამებრ კოლეჯში IT სპეციალისტის დახმარება ხელმისაწვდომია, ასევე 172 მათგანი ადასტურებს სასწავლო პროცესში პროექტორისა და პრინტერის ხელმისაწვდომობას.
- გამოკითხულთა 97% კმაყოფილია კოლეჯის ვებ-გვერდით, ხოლო მისი ნავიგაციით კმაყოფილებას გამოთქვამს 92%. ასევე, ფეისბუქ და სხვა სოციალური ქსელებით კმაყოფილებას გამოხატავს გამოკითხულთა 97%.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

- ჩვენი კოლეჯი მუდმივად გამოირჩევა სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ადმინისტრაციის საქმიანობაში. ადმინისტრაციის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტების აკადემიური პროცესის მხარდაჭერაში და მზად არიან დროულად გაუწიონ დახმარება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გადაჭრის მიზნით. აღნიშნული პრაქტიკა არაერთი კვლევითა და ემპირიული მონაცემით დასტურდება. მხარდაჭერის ერთ-ერთი დასტურია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების არსებობა. გამოკითხულთა 14 %-ს დასჭირდა ინდ.გეგმა, აქედან სრული უმრავლესობა ადასტურებს, რომ კოლეჯმა შეიმუშავა მათზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და თავადაც იყვნენ ჩართულნი ამ პროცესში.

დასკვნა

- კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ:
- სტუდენტთა უმრავლესობა კმაყოფილია სასწავლო პროგრამების შინაარსით, მასწავლებლების პროფესიონალიზმით და ადმინისტრაციის მხარდაჭერით.
- კოლეჯი უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და რეგულაციების შესახებ.
- ინფრასტრუქტურა, სასწავლო რესურსები და ტექნიკური აღჭურვილობა შეფასებულია მაღალი ქულებით.
- სტუდენტების ჩართულობა და უკუკავშირის მექანიზმები ფუნქციონირებს ეფექტიანად.
- დასაქმების მაჩვენებელი მაღალია, თუმცა გამოწვევად რჩება პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.

დასკვნა

- თუ 2023 და 2024 წლებში კოლეჯი ჯერ კიდევ აყალიბებდა სისტემურ მიდგომებს, 2025 წელს უკვე ვხედავთ ამ პროცესების შედეგებს-როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ დონეზე.
- საგრძნობლად გაიზარდა სტუდენტების ინფორმირებულობა.
- ასაკობრივი ჭრილის მიხედვითაც შეინიშნება პოზიტიური ტენდენცია: 15– 18 წლის სტუდენტების რაოდენობა 110%-ით გაიზარდა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ კოლეჯმა გააძლიერა სკოლებთან თანამშრომლობა და პროფესიული განათლება უფრო მიმზიდველი გახდა ახალგაზრდებისთვის.
- 2025 წელს უკვე 90%-ზე მეტმა სტუდენტმა მიანიჭა მაქსიმალური შეფასება სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფას.
- 99.5%-მა ადმინისტრაციას მისცა მაქსიმალური შეფასება.
- სტუდენტებმა დაიწყეს კონკრეტული ინიციატივების ფორმულირება.